

შპს „ლიდერ-ფუდი“

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, განასხვავოს ერთმანეთისგან მენეჯმენტისა და აუდიტორთა პასუხისმგებლობები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ლიდერ-ფუდი“-ის (შემდეგში კომპანია) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში. მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც ნათლად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის მიერ ჩატარებული ქმედებების შედეგებზე, ფულადი ნაკადის მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშზე ზემოთაღნიშნული წლის ბოლოსთვის, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის დაცვით (მსს ფასს). ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- ამოირჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- მსს საერთაშორისო სტანდარტის თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში. მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:
- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური და ხარისხიანი სისტემა კომპანიაში;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ჩანაწერების აღრიცხვა შესაბამისი სიზუსტით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-ების დაცვით;
- გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- აღმოფხვრას სხვადასხვა დარღვევები.


ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის, მენეჯმენტის მხრიდან 2019 წლის 15 ივნისს დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ.

დირექტორი

ნანა ტაბატაძე

ფინანსური დირექტორი

გიორგი გეჯაძე



სარჩევი

2018 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
2018 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება	6
2018 დასრულებული წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	6
ზოგადი ინფორმაცია	8
ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	8
განცხადება შესაბამისობის შესახებ.....	8
სამუშაო ვალუტა.....	9
ფული და ფულის ეკვივალენტები	9
ამონაგების აღიარება	9
1. ამონაგები.....	13
2. სხვა შემოსავალი.....	13
3. ფინანსური დანახარჯები	13
4. დაბეგვრამდე მოგება	14
5. საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	14
6. მოგების გადსახდის ხარჯი	15
7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.....	15
8. ძირითადი საშუალებები.....	16
9. არამატერიალური აქტივები	17
10. გადავადებული გადასახადი	17
11. სესხი და საბანკო გარანტია	17
12. ვალდებულებები.....	17
13. მოთხოვნები	18
14. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება	18
15. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები	18
16. კაპიტალი	19
17. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	19
18. პირობითი ვალდებულებები.....	20
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	20

20. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები.....	20
21. ფინანსური რისკები.....	20
22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	20

2018 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

დასახელება (GE)	შენიშვნები	2018 ლარი	2017 ლარი	2016 ლარი
მიმდინარე აქტივები		2,285,004.46	2,343,604.61	1,858,923.76
ნაღდი ფული	17	394,500.05	348,049.42	276,988.45
სავაჭრო მოთხოვნები	7	203,996.77	173,605.70	103,619.94
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	13	167,895.66	103,386.43	23,886.98
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	7	1,355,862.20	1,618,023.91	1,295,669.99
საგადასახდო აქტივი		162,749.78	100,539.15	158,758.40
გრძელვადიანი აქტივები		1,205,222.31	1,252,288.58	1,225,581.61
არამატერიალური აქტივები	9	57,458.41	57,458.41	47,691.46
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	9	-15,798.76	-10,052.92	-4,708.46
მიწა		0	0	0
ძირითადი საშუალებები	8	2,013,108.42	1,726,173.44	1,401,682.02
ძირითადი საშუალებების ცვეთა	8	-849,545.76	-521,290.35	-219,083.41
კაპიტალი		1,114,036.21	1,416,393.83	1,299,712.02
სარეზერვო კაპიტალი		0	0	
საწესდებო კაპიტალი	16	3,591,167.00	3,075,979.00	2,329,279.00
აკუმულირებული მოგება-დაუფარავი ზარალი	16	-1,659,585.17	-1,029,566.98	-1,029,566.98
მიმდინარე მოგება-ზარალი	16	-817,545.62	-630,018.19	
ვალდებულებები		2,376,190.56	2,179,499.36	1,784,793.35
მიმდინარე ვალდებულებები		2,376,190.56	2,179,499.36	1,784,793.35
სავაჭრო ვალდებულებები	12	2,302,885.62	2,168,423.80	1,781,035.03
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	12	73,304.94	11,075.56	3,758.32
საგადასახდო ვალდებულებები		0	0	0
დარიცხული ვალდებულებები		0		
მიღებული ავანსები		0		
გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0	0
გრძელვადიანი სესხი				

შპს „ლიდერ ფუდის“-ის დირექტორი
ნანა ტაბატაძე

შპს „ლიდერ ფუდის“-ის ფინანსური დირექტორი
გიორგი გეჯაძე

12-24 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს



2018 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

	შენიშვნა	2018 წელი	2017 წელი
ამონაგები	1	17,937,101	16,439,883
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		-14,785,159	-13,540,311
საერთო მოგება		3,151,942	2,899,572
სხვა შემოსავალი	2	81,643	134,763
მიწოდების ხარჯები		-12,164	-3,771
ადმინისტრაციული ხარჯები	6	-3,704,939	-3,352,855
ცვეთა და ამორტიზაცია	8,9	-334,001	-307,551
სულ საოპერაციო ხარჯები	5	-4,051,104	-3,664,178
საოპერაციო მოგება		-817,520	-629,843
შემოსავალი/ზარალი საკუთარ სხვაობიდან	4	-25.76	-174.71
მოგება გადსახადამდე	4	-817,545.62	-630,018.19
მოგების გადასახადის ხარჯი		0	0
მიმდინარე წლის მოგება		-817,546	-630,018
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში	16	-1,659,585	-1,029,567
დივიდენდები			
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს	16	-2,477,131	-1,659,585

2018 დასრულებული წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწყისდებო კაპიტალი	საწყისდებო კაპიტალის ცვლილება	გაუნაწილებელი მოგება	პერიოდის მ/ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2016	2,329,279		-1,029,567		1,299,712
2017 წლის შემოსავალი		746,700		-630,018	
ნაშთი 31 დეკემბერი 2017	3,075,979		-1,659,585		1,416,394
2018 წლის შემოსავალი		515,188		-817,546	
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	3,591,167		-2,477,131		1,114,036

შპს „ლიდერ ფუდის“-ის დირექტორი
ნანა ტაბატაძე

შპს „ლიდერ ფუდის“-ის ფინანსური დირექტორი
გიორგი გეჯაძე



12-24 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „ლიდერ-ფუდი“

2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2018 წელი	2017 წელი
ფულად ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება	(817,545.62)	(630,018.19)
კორექტრებები არაფულად შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის :	334,001.25	307,551.40
- გადასახადები	-	-
- ცვეთა	334,001.25	307,551.40
ცვლულები სამუშაო კაპიტალი	301,741.98	(18,913.87)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	(94,900.30)	(149,485.21)
- მარაგები	262,161.71	(322,353.92)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	196,691.20	394,706.01
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები	(62,210.63)	58,219.25
წმინდა ფულად ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(181,802.39)	(341,380.66)
ფულად ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
- ძირითადი საშუალებების შეძენა	(288,956.34)	(334,258.37)
- ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	-	-
წმინდა ფულად ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(288,956.34)	(334,258.37)
ფულად ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
- საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)	517,209.36	746,700.00
წმინდა ფულად ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	517,209.36	746,700.00
ფულად სახსრების, ფულად სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოფერდრაფტის ზრდა (კლება)	46,450.63	71,060.97
ფულად სახსრების, ფულად სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოფერდრაფტის საწყისი ბალანსი	348,049.42	276,988.45
გაცვლათ კურსის ეფექტისგან გამომწვეულ ცვლულზე		
ფულად სახსრების, ფულად სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოფერდრაფტის საბოლოო ბალანსი	394,500.05	348,049.42

შპს „ლიდერ ფუდის“-ის დირექტორი

ნანა ტაბატაძე

შპს „ლიდერ ფუდის“-ის ფინანსური დირექტორი

გიორგი გეჯაძე

(Handwritten signatures)



12-24 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ზოგადი ინფორმაცია

შპს „ლიდერ-ფუდი“ ყოფილი შპს „ეკონმიქსი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2015 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

კომპანიის იურიდიული მისამართი არის: საქართველო, ქ. თბილისის, ისანი-სამგორის რაიონი, ისანიჩეხოვის ქ., №23/22

შპს „ლიდერ-ფუდი“ არის ძირითად სასურსათო და პირველადი მოხმარების საყოფაცხოვრებო საქონლის საცალო ვაჭრობის მარკეტების ქსელური კომპანია, დაარსებული საქართველოში. იგი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაყიდვებს ახორციელებდა 10 სუპერმარკეტის ტიპის მაღაზიების მეშვეობით.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის ბოლოსთვის მხარეებს შორის განსაზღვრული აქციები მოცემულია ცხრილში:

	2018	2017
ვიტალი ზეიკიძე	0 %	100 %
206337052, შპს ლიდერი-ფუდი	100 %	0 %

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

განცხადება შესაბამისობის შესახებ

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის ” (მსს ფასს) (IFRS for SMEs) შესაბამისად.

საქართველოში რეგისტრირებული კომპანია საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერებს აწარმოებს მასს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად. უნდა ჩაითვალოს რომ ზემოდ ხსენებულ სტანდარტზე კომპანია გადავიდა 2018 წლის 1 იანვრიდან. ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია კომპანიის საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერების საფუძველზე. კომპანია თავის ოქმების კრებულებსა და ჩანაწერებს აწარმოებს ქართულ ლარში და ასევე ქართულ ლარში აწარმოებს ფინანსურ ანგარიშგებებს. ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მსს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობისგან, გამოიყენოს განსჯა, კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენებისას. ის სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი

განსჯა და შეფასებებია გამოყენებული, ფინანსური ანგარიშგებების მომზადების დროს და მათი შედეგი მოცემულია სააღრიცხვო პოლიტიკასა და ახსნა-განმარტების შენიშვნებში.

ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

სამუშაო ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს ბანკის შუალედურ ანგარიშზე.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. სხვა მწარმოებლებზე ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და დღგ-ს გადასახადების გამოკლებით.

მიღებული კრედიტ ნოტების აღიარება ხდება ხელშეკრულებაში ან შეთახმებაში დათქმული პირობიდან გამომდინარე, ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, კერძოდ როდესაც მომწოდებელთან შედარებისას ფიქსირდება დავალიანების ნაკლებობა და დავალიანების შემცირების მიზეზი მომწოდებელს არ აქვს ახსნილი, ან როდესაც კრედიტ-ნოტი მიღებულია ბონუსის სახით კრედიტ ნოტიდან შემოსავალი ემატება საოპერაციო შემოსავალს.

მომწოდებლის მხრიდან ინვოისში არსებულ ჩამონათვალთან შედარებისას აღმოჩენილი საქონლის დანაკლისის შემთხვევაში მომწოდებელი იღებს ვალდებულებას აანაზღაუროს დანაკლისის ღირებულება. ეს არსებითად ხარჯების ანაზღაურების კრედიტ-ნოტას გავს და ამ დროს შემთხვევაში ხდება ზემოთ თქმული კრედიტ-ნოტის შემოსავალში აღიარება.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

კომპანია არ სარგებლობს სესხით საოპერაციო საქმიანობისთვის აუცილებელი ტანხების უზრუნველყოფა ხდება დამფუძნებლის მხრიდან საწესდებ კაპიტალის გაზრდის გზით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადის ჯამი.

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას. კომპანია 2016 წელს იყო ზარალიანი, ამიტომ მოგების გადასახდი ვალდებულება

არ წამოიქმნება. 2018 წელს მოგების გადადსახდად დარიცხულია მხოლოდ საგადახადო კოდექსის მიერ განსაზღვრული გადადსახდი, რომელიც გამოწვეულია ზოგიერთი ფინანსური ხარჯის საგადახდოს მიერ არ აღიარებით. რაც შეეხება გადავადებულ გადასახადს, მის სტანდარტებზე გადასვლის თარიღიდან, 2018 წლის 1 იანვარისთვის უკვე მოქმედებდა ესტონური მოდელი რომლის შინაარსიდან გამომდინარე დროებითი სხვაობა აღარ წარმოიშობა

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები, საოფისე და სამაღაზიე მოწყობილობა და იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა 20 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შექენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით განიკვეთით 10%. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ტესტირება გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება უდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. შპს ლიდერ-ფუდიში არ ფიქსირდება ფინანსური იჯარა

კომპანიაში ფიქსირდება ჩვეულებრივი იჯარა. იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

საქონლის მიღება ხდება საინვოისო ღირებულებით რომელსაც ემატება ტრანსპორტირებისა და დასაწყობების ხარჯები. პერიოდის ბოლოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „პირველი შემოსავალში-პირველი გასავალში“ („ფიფო“) მეთოდით. კომპანიაში შიდა კონტროლის მექანიზმების ფარგლებში მოქმედებს მონიტორინგის სამსახური რომლის მოვალეობაში შედის საქონლის ინვენტარიზაცია და ვადაგასული საქონლის ქსელიდან ამიღება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ფიზიკურ პირებზე და მცირე შემთხვევაში ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. სავაჭრო ვალდებულებების კორექტირება აისახება კორექტირების თარიღით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე. ერთჯერადად დაქირავებულის მომსახურეობის ანაზღაურების ღირებულება განისაზღვრება ჩატარებული სამუშაოების მიღება ჩაბარების აქტის ან გასავლის ორდერის მიხედვით. გასავლის ორდერში მითითებულია შესრულებული სამუშაო და ღირებულება და თანხის მიღება. ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი დასტურდება შესაბამისი ხელმოწერებით.

1. ამონაგები

ამონაგები მოიცავს შემოსავლებს საქონლისა და მზა პროდუქციის რეალიზაციიდან რეალიზაციიდან აგრეთვე შემოსავალი მარკეტინგული მომსახურებიდან, როგორც საცალო ასევე მცირე საბითუმო მყოფეველებისთვის. თავის მხრივ მარკეტინგული მომსახურება მოიცავს შემოსავლებს მიმწოდებლების მხრიდან დასაყიდი პროდუქციის განთავსებისთვის დაქირავებული პროდუქციის განლაგების თაროს ღირებულებას დახლ-მაცივარის განლაგებისთვის საჭირო ფართის ღირებულებას, ე.წ ქეშ ბექს და სხვადასხვა სახის წვრლმან მომსახურებებს

	2018 წელი ლარი	2017 წელი ლარი
შემოსავალი საქონლისა და მზა პროდუქციის რეალიზაციიდან	17,300,426	15,986,833
შემოსავალი მარკეტინგული მომსახურებიდან	636,675.11	460,236

2. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი მოიცავს 2018 და 2017 წლებში მიღებულ შემოსავლებს: ფილიალის ჯარიმებიდან შემოსავალი ვალის პატიებიდან და უსასყიდლოდ მოწოდებული საქონელი

	2018 წელი	2017 წელი
შემოსავალი ფილიალის ჯარიმებიდან	1,984.95	3,682.85
შემოსავალი ვალის პატიებიდან	4,042.64	39,817.42
უსასყიდლოდ მოწოდებული საქონელი	5,553.45	1,035.29

3. ფინანსური დანახარჯები

	2017 ლარი	2016 ლარი
სესხისა პროცენტი	0	0

4. დაბეგვრამდე მოგება

დაბეგვრამდე მოგების განსაზღვრისას ჩართულია შემდეგი ხარჯები:

	2018 წელი ლარი	2017 წელი ლარი
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-14,785,159	-13,540,311
მიწოდების ხარჯები	-12,163.60	-3,771.21
საოპერაციო ადმინისტრაციული ხარჯები	-3,704,939.48	-3,262,175.53
მოგება ზარალი საკუთსო სხვაობიდან	-25.76	-174.71

5. საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები

თავის მხრივ საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები შედგება:

	2018 წელი	2017 წელი
საოფისე ხარჯები	-6290.42	-4841.42
საკომუნიკაციო ხარჯი	-18050.48	-23106.89
კომუნალური ხარჯი დენი	-380963.37	-339221.1
კომუნალური ხარჯი გაზი	0	-1853.39
ტექნიკური მომსახურების ხარჯი	-3983.05	-8521.04
საჯარო რეესტრის ხარჯი	-167	0
დაცვის მომსახურების ხარჯი	-13129.89	-11768.56
GPRS სალარო აპარატის მომსახურება	-1777.65	-1229.53
შრომის ანაზღაურება	-1753921.35	-1525192.22
მომსახურების ანაზღაურება	-38693.9	-82565.63
კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯი	-1404	0
იურიდიული მომსახურების ხარჯი	-3125	-4625
ქალაქ თბილისის მერია	0	-201
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	-4050	
უნიფორმის ხარჯი	-10220.61	
საიჯარო ქირა	-1018305.96	-926795.63
დერატიზაციის ხარჯი	-5258.96	-4480
ექსპერტიზის ხარჯი	-2967.79	-508.48
ნოტარიუსის ხარჯი	0	-11.69
რემონტის ხარჯი	0	-3213.24

ავტომობილის რემონტის ხარჯი	-8181.48	-5162.64
მივლინებების ხარჯები	-594.75	
სადაზღვევო ხარჯები	-512.3	
წარმომადგენლობითი ხარჯი	-337.83	-511.84
ძირითადი საშუალების ექსპლუატაციის ხარჯი	-24195.94	-37789.97
ვადაგასული პროდუქციის ჩამოწერის ხარჯი	-1742.4	-1020
ვადაგასული პროდუქციის განადგურება (ნაგავსაყრელი)	-29.66	
ბანკის მომსახურების ხარჯი	-76354.47	-59810.81
სხვა ხარჯი	-18642.97	-22647.02
ფილიალების ხარჯი (მენეჯერი)	-96383.28	-53761.77
ფილიალების ხარჯი (სხვადასხვა)	-20443.12	

შენიშვნა: შრომის ანაზღაურება მოიცავს როგორც ხელფასს აგრეთვე დროებით დაქირავებულის ანაზღაურებას

6. მოგების გადასახდის ხარჯი

	2018	2017
	ლარი	ლარი
მიმდინარე გადასახადი	-14,487.65	-14,303.65
გადაგადებული გადასახადი	(0)	(0)

2106 წელს და 2017 წლებში, წინა წლების ზარალის გამო და საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებებიდან გამომდინარე(მოქმედებს 2017 წლიდან) მოგების გადასახადი უნდა იქნას გადახდილი დივიდენდი გაცემის დროს და საგადასახადო კოდექსის თვალსაზრისით დაუდოკუმენტირებელი ან ნორმის ზევით გაწეული ხარჯის შემთხვევაში.

7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები მოიცავს გასაყიდად გამზადებულ პროდუქციას, დასაფასოებელ და მცირედ გადსამუშავებელ ნედლეულს, დაბრუნებულ და გადაგადაცილებულ საქონელს. ამავე ანგარიშშია გაერთიანებული საწვავის საწყობიც

2018 წელი

2017 წელი

	ლარი	ლარი
საქონელი	1,311,979.50	1,574,339.11
ვადაგასული მზა პროდუქციის საწყობი	998.51	394.74
შიდა გადაადგილების საწყობი	7,588.34	10,673.42
ნედლეული და მასალები	17.78	4,153.29
ხორცის საწყობი (წარმოება)	0.04	2,608.06
დაუმთავრებელი წარმოება (ხორცი)	548.29	353.30
კოდის გარდაქმნის საწყობი	11.00	29.31
დაუმთავრებელი წარმოება (მზა პროდუქციისთვის)	34,039.35	24,129.24
მზა პროდუქციის საწყობი	519.91	266.81
უკან დაბრუნებული მზა პროდუქციის საწყობი	4.71	2.21
საწვავის საწყობი	154.75	1,074.33

8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები დაყოფილია კატეგორიებად. მარკეტინგის ინვენტარი რომელშიც გაერთიანებულია მარკეტებში არსებული ზირ. საშუალებები, სატრანსპორტო საშუალებები, ოფისის არჩურვილობა და იჯარით აღებული კი ქონების კეთილმოწყობა. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით 20%-იანი განიკვეთის მიხედვით

შინაარსი	მარკეტების ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
	ლარი	ლარი		ლარი	ლარი
საბალანსო ღირებულება დასაწყისში 2018 წ	1,258,155	58,052		409,966	1,726,173
საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოსთვის 2018 წ	1,430,309	66,020	29,061	487,719	2,013,108
შემოსვლა 2018წ.	172,154	7,967	29,061	77,752	286,935
გასვლა 2018 წ.	0	0	0	0	0
ცვეთა პერიოდის 2018 წ.	-259,271	-12,998	-3,932	-52,055.17	-328,255
დაგროვილი ცვეთა 2018 წლის დასაწყისში	-408,454	-23,510	0	-89,326.97	-521,290
დაგროვილი ცვეთა 2018 წლის ბოლოს	-667,724	-36,508	-3,932	-141,382	-849,546

9. არამატერიალური აქტივები

პროგრამული უზრუნველყოფა: არამატერიალური აქტივი შედგენს სადრიცხვო პროგრამა APEX-ს. საადრიცხვო პროგრამის დანერგვა და შესაბამისად კაპიტალიზაციის დასრულდა 2017 წელს. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით 10%-იანი განიკვეთის მიხედვით

თვითღირებულება	ლარი
1 იანვარი, 2017 წ.	47,691
შემოსვლა აღიარება	9,767
გასვლა	0
ნაშთი 31 დეკემბერი 2017 წ.	57,458
1 იანვარი 2018წ.	57,458
შემოსვლა აღიარება	0
გასვლა	0
ნაშთი 2018წ	57,458
დაგროვილი ამორტიზაცია 1 იანვარი 2017 წ.	-4708.46
2017 წლის ამორტიზაცია	-5,344
დაგროვილი ამორტიზაცია 1 იანვარი 2018 წ.	-10,053
2018 წლის ამორტიზაცია	-5,746
დაგროვილი ამორტიზაცია 1 იანვარი 2019 წ.	-15,799
საბალანსო ღირებულება 31.12.2018	41,660

10. გადავადებული გადასახადი

კომპანიას გადავადებული გადასახდის ვალდებულება არ ერიცხება

11. სესხი და საბანკო გარანტია

კომპანიას არ გააჩნიათ სასესხო ვალდებულებები

12. ვალდებულებები

	2018	2017
	ლარი	ლარი
ადგილობრივი საქონლის შემენიდან წარმოქმნილი ვალდებულება	2,304,907	2,168,417
ძირითადი საშუალებების შესყიდვიდან წარ. ვალდებულებები	64,713	2,044
სხვადასხვა მომწოდებლები	8,591	5,894
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის მიმართ	0	1,099
კომუნალური გადასახადებისგან წარმოქმნილი ვალდებულებები	0	2,040

13. მოთხოვნები

საგარანტო ანაწილები არ შექმნილა, რადგან საქონელი იყიდება მწარმოებლის გარანტიით

	2018	2017
	ლარი	ლარი
მოთხოვნები იურუდიულ პირებზე საქონლის მიწოდებიდან და მომსახურების	203,997	173,606
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	126	0
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	58,854	40,338
საექვო მოთხოვნები	228	278
ავანსად გადახდილი იჯარა	52,754	62,455
ავანსად გადახდილი კომუნალური გადასახადები	46,258	0
მომსახურებაზე გადახდილი თანხები	1,329	0

14. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება

კომპანიის დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ვალდებულება, რომელიც ეფუძნება მომსახურე პერსონალთან დადებულ ხელშეკრულებას შეადგენს:

2017 წლის 31 დეკემბრისთვის 0 ლარს (დაერიცხა 1 524 905 ლარი, გადახილ იქნა 1 524 905 ლარი) 2018 წლის 31 დეკემბრისთვის 0 ლარს (დაერიცხა 1 753 921 ლარი, გადახილ იქნა 1 753 921 ლარი).

15. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს სამაღაზიო და სასაწყობო ფართი. იჯარის ხელშეკრულება საშუალო ვადაა ხუთი წელი(კომპანია ბრიკორამას ფრანშიზას პერიოდი) თვეში ერთხელ ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა. ჩვეულებრივი იჯარით გათვალისწინებული საიჯარო გადასახდელები, რომლებიც მიმდინარე წელს აღიარებულია ხარჯად შეადგენს 2017-ში 575,313.81 ლარს და 2018-ში 1,018,305.96 ლარს

16. კაპიტალი

ქვემოთ გთავაზობთ კაპიტალში ცვლილების დეტალიზაციას

	საწესდებო კაპიტალი	საწესდებო კაპიტალის ცვლილება	გაუნაწილებელი მოგება	პერიოდის მ/ ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2016	2,329,279		-1,029,567		1,299,712
2017 წლის შემოსავალი		746,700		-630,018	
ნაშთი 31 დეკემბერი 2017	3,075,979		-1,659,585		1,416,394
2018 წლის შემოსავალი		515,188		-817,546	
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	3,591,167		-2,477,131		1,114,036

17. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2018 წელი	2017 წელი
	ლარი	ლარი
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	272188.55	193669.54
ერ .ვალუტაში ნაღდი ფულის შუალედური ანგარიში	316.17	0
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკებში	87318.69	124231.28
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკებში	489.88	521.54
ბანკის შუალედური ანგარიში	338.37	338.3
ფული სახვა საბანკო ანგარიშებზე	33848.39	29288.76

18. პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები კომპანიას არ უფიქსირდება

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის მარტში მოხდა კომპანიის დირექტორის განთავისუფლება, რასაც მოყვა რიგი მენეჯერიების მხრიდან სამუშაოს დატოვება. მენეჯმენტის შეცვლას კომპანიის საადრიცხო პოლიტიკაზე გავლენა არ უქონია.

20. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებულ მხარეს შორის ოპერაციები ფიქსირდება, თუნცა ოპერაციები განხორციელებულია საბაზრი ფასებით

21. ფინანსური რისკები

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან. საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები. კომპანიის რისკის მართვა მიზნად ისახავს კომპანიის ფინანსურ საქმიანობაზე უარყოფითი გავლენის მაქსიმალურად შემცირებას.

კომპანიასაღებული აქვს გაფართოების სტრატეგია და აქედან გამომდინარე მოითხოვს თანხების დაბანდებას. თანხების მოზიდვა ხდება დამფუძნებლის მხრიდან საწესდებო კაპიტალის გაზრდის მეშვეობით. აგრეთვე დამფუძნებლები გამოთქვას მზადყოფნას საჭიროების შემთხვევაში კომპანიის წინაშე არსებული ვალდებულებების დაფარვაზე ისევ და ისევ საწესდებო კაპიტალის გაზრდის ხარჯზე.

22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2019 წლის 15 ივნისს.

შპს „ლიდერ ფუდის“-ის დირექტორი
ნანა ტაბატაძე

შპს „ლიდერ ფუდის“-ის ფინანსური დირექტორი
გიორგი გეჯაძე



შპს „ლიდერ-ფუდი“

2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

